შპს “სამედიცინო ცენტრი ციტო”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ სამედიცინო ცენტრი ციტოს" ხელმძღვანელობას
მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სამედიცინო ცენტრი ციტოს"- (შემდგომში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებს , მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან, როგორც ამას მოითხოვს „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ („IESBA") შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2023 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორამაცია მოიცავს კომპანიის 2023 წლის მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.
მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით მმართველობით ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობას;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „ საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს შესწევს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობა;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ

ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანასური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი მმართველობით ანგარიშგებაზე

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარ კაპანაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087). შპს აუდიტ-თა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931).

თამარ კაპანაძე

თბილისი, საქართველო
29 სექტემბერი 2025 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8,952,670	9,004,505
არამატერიალური აქტივები		230,223	143,720
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		**9,182,893**	**9,148,225**
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,477,440	1,131,256
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	1,457,602	929,954
გაცემული სესხები		480,042	732,403
მარაგები	9	691,161	710,516
მიმდინარე აქტივების ჯამი		**4,106,245**	**3,504,129**
სულ აქტივები		**13,289,138**	**12,652,354**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	174,100	174,100
აკუმულირებული მოგება		5,931,086	4,677,837
სულ კაპიტალი		**6,105,186**	**4,851,937**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	3,220,518	3,469,314
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		**3,220,518**	**3,469,314**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალებულებები	12	2,000,277	2,430,017
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	1,692,388	1,653,693
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		153,409	123,200
საგადასახადო ვალდებულებები		117,360	124,193
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		**3,963,434**	**4,331,103**
სულ ვალდებულებები		**7,183,952**	**7,800,417**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**13,289,138**	**12,652,354**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ნათია შავდია
ფინანსური მენეჯერი: ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	**31-დეკ-2024**	**31-დეკ-2023**
ამონაგები	13	16,781,453	13,843,927
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(8,107,816)	(7,065,314)
საერთო მოგება		**8,673,637**	**6,778,613**
სხვა შემოსავალი		122,313	280
კომერციული დანახარჯები	15	(716,656)	(582,642)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,215,897)	(5,065,202)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**2,863,397**	**1,131,049**
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(88,341)	33,219
ფინანსური ხარჯი	17	(797,600)	(655,547)
მოგება დაბეგვრამდე		1,977,456	508,721
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		**1,977,456**	**508,721**
სულ სხვა სრული შემოსავალი		**-**	**-**
მთლიანი სრული შემოსავალი		**1,977,456**	**508,721**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ნათია შავდია

ფინანსური მენეჯერი: ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**174,100**	**5,078,586**	**5,252,686**
პერიოდის შედეგი		508,721	508,721
გაცემული დივიდენდი		(909,470)	(909,470)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**174,100**	**4,677,837**	**4,851,937**
პერიოდის შედეგი		1,977,456	1,977,456
გაცემული დივიდენდი		(724,207)	(724,207)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**174,100**	**5,931,086**	**6,105,186**

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	შენ	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		16,531,567	13,576,025
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(5,633,529)	(5,089,280)
გაცემული შრომის ანაზღაურება		(6,138,850)	(5,550,681)
გადახდილი გადასახადი		(1,768,345)	(1,631,749)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)		(10,837)	(12,909)
გადახდილი პროცენტები		(194,804)	(251,227)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**2,785,202**	**1,040,177**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,223,369)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(1,223,369)**	**-**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გაცემული სესხის დაბრუნება		275,000	455,000
სესხების დაფარვა/აღება		(818,127)	(886,556)
გადახდილი დივიდენდი		(685,000)	(822,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**(1,228,127)**	**(1,253,556)**
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		12,477	(7,086)
კონვერტაციის ხარჯი			-
სავალუტო კურსის ეფექტი		**12,477**	**(7,086)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		**346,184**	**(220,464)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის დასაწყისში	7	**1,131,256**	**1,351,720**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო წლის ბოლოს	7	**1,477,440**	**1,131,256**

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „სამედიცინო ცენტრი ციტო" (შემდგომში „კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1996 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ, №40, თბილისი, საქართველო.

კომპანია ახორციელებს კლინიკური ლაბორატორიის, ექიმი კონსულტანტის და კვლევით სამედიცინო მომსახურებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი და კომპანიის დირექტორი არის ნათია შავდია.

კომპანიას 2024 -2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის (იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხო პოლიტიკა შედგება:

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის

გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. კომპანია შესასრულებელ ვალდებულებას ასრულებს დროის გარკვეულ მომენტში და შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების" კატეგორიაში. 2023 წლის 31 დეკემბრის 1 იანვრის მდგომარეობით სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ფულად ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან.

მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავალი

სამედიცინო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში - „გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა“. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალაურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	2-18
ავტომანქანები	7-8

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სამედიცინო ინვენტარი	3-19
სამედიცინო მანქანა-დანადგარები	4-20
სხვა	2-20
შენობები	25

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერილაური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადის სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგარამ არაუმეტეს იმ საბალანსო

ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალებს. კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება, ნებისმიერი სხვაობა საწესდებო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება, როგორც კაპიტალის ცალკე კომპონენტი - არაფულადი შენატანის საბაზრო ფასზე კორექტირების რეზერვი.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღაირდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარ მოვლენებში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

	2024	**2023**
1USD/GEL	2.8068	2.6894
1EUR/GEL	2.9306	2.9753

4. **სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები**

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

(ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობებზე. აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი უმეტესად სარგებლობის პროცესში გამოიყენება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიც არის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელი აფასებს დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადას, აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და იმ შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივებზე კომპანიისთვის სარგებლის მიღება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

ბ)უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტების სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგისა ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. **ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული.**

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბესსს“) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისათვის.ხელმძღვანელობის მოლოდინით , ახალი სტანდარტები, ცვლილეები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბესსს“) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემრით

დასრულებული წლისათვის. კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ახალ და შესწორებულ სტანდარტებს, რომელიც არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი ძალაში შესვლის შემდეგ.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სხვა ამორტიზირებადი ძირსაშ.	იჯარის უფლება	სულ
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	**2,587,725**	**4,489,517**	**905,677**	**2,754,693**	**455,378**	**380,326**	**83,558**	**1,847,072**	**13,503,946**
შემოსვლა		295,893	29,784	1,035,219		21,641	2,372	60,195	1,445,103
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	**2,587,725**	**4,785,410**	**935,461**	**3,789,912**	**455,378**	**401,967**	**85,930**	**1,907,267**	**14,949,049**
შემოსვლა		35,270	32,514	394,927	21,000	17,271	159	622,025	1,123,166
გასვლა					(33,551)				(33,551)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	**2,587,725**	**4,820,680**	**967,975**	**4,184,839**	**442,827**	**419,238**	**86,089**	**2,529,292**	**16,038,664**
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(1,579,225)**	**(545,953)**	**(1,723,651)**	**(247,295)**	**(194,725)**	**(69,709)**	**(632,373)**	**(4,992,933)**
ცვეთის ხარჯი		(207,370)	(52,593)	(184,519)	(62,297)	(33,657)	(2,829)	(408,346)	(951,611)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(1,786,596)**	**(598,546)**	**(1,908,170)**	**(309,592)**	**(228,383)**	**(72,539)**	**(1,040,720)**	**(5,944,545)**
ცვეთის ხარჯი		(177,139)	(92,752)	(345,864)	(14,989)	(40,172)	(6,104)	(464,431)	(1,141,451)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	**-**	**(1,963,735)**	**(691,298)**	**(2,254,034)**	**(324,581)**	**(268,555)**	**(78,643)**	**(1,505,151)**	**(7,085,996)**
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	**2,587,725**	**2,910,291**	**359,723**	**1,031,042**	**208,083**	**185,601**	**13,849**	**1,214,699**	**8,511,013**
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	**2,587,725**	**2,998,814**	**336,914**	**1,881,742**	**145,786**	**173,585**	**13,391**	**866,547**	**9,004,505**
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	**2,587,725**	**2,856,945**	**276,676**	**1,930,805**	**118,246**	**150,684**	**7,446**	**1,024,141**	**8,952,670**

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
ნაღდი ფული სალაროში	17,091	31,264
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	538,186	706,905
უცხოური ვალუტა ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	922,163	393,087
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**1,477,440**	**1,131,256**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. *მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან*

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,024,883	907,506
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	431,205	22,284
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(1,350)
წინასწარ გადახდილი გადასახადი	1,514	1,514
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	**1,457,602**	**929,954**

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

9. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მარაგები	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
სასაქონლო მატერიალური მარაგი	691,161	710,516
სულ მარაგები	**691,161**	**710,516**

10. კაპიტალი

ა) საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში

ბ) კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 174,100 ლარია. 2024 და 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ ყოფილა

11. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიამ აიღო ევროში დენომინირებული საბანკო სესხები თიბისი ბანკიდან თავისი ოპერაციების დასაფინანსებლად. სასესხო ვალდებულებასთან ერთად კომპანიამ აღიარა საპროცენტო ვალდებულება. კომპანიის სასესხო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასესხო ვალდებულებები	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
გრძელვადიანი სესხები	3,220,518	3,469,314
მოკლევადიანი სესხები	1,692,388	1,653,693
სულ სასესხო ვალდებულებები	**4,912,906**	**5,041,812**

12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმ.ვალდებულება	2,000,277	2,430,017
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**2,000,277**	**2,430,017**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

13. ამონაგები

ამონაგები წარმოადგენს ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ამონაგები	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	16,743,155	13,829,586
სხვა შემოსავალი	38,299	14,342
სულ ამონაგები	**16,781,454**	**13,843,927**

14. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	3,351,929	3,200,638
პირდაპირი ხელფასი	4,296,325	3,444,345
საწარმოო დანიშნულების ცვეთა	345,864,	289,094
სხვა საწარმოო ხარჯი	113,698	**131,238**
სულ რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	**8,107,816**	**7,065,314**

15. კომერციული დანახარჯები

კომერციული დანახარჯები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომერციული დანახარჯები	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	330,811	209,388
მიწოდების სხვა ხარჯები	385,845	373,254
სულ კომერციული დანახარჯები	**716,656**	**582,642**

16. ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
ადმინისტრაციული ხელფასი	3,008,984	3,242,649
კომუნიკაციის ხარჯები	57,002	52,178
კომუნალური ხარჯი	137,521	150,219
საკანცელარიო ხარჯი	82,782	130,099
საკონსულტაციო ხარჯები	205,342	155,475
ძირითადი საშუალების ცვეთა	416,229	314,852
საბანკო ხარჯები	132,811	115,461
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	1,175,227	904,269
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**5,215,897**	**5,065,202**

17. ფინანსური დანახარჯები

ფინანსური დანახარჯები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ხარჯი	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
საპროცენტო ხარჯები	(682,011)	(623,921)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(140,729)	(169,014)
საპროცენტო შემოსავლები	22,638	87,700
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,502	49,688
სულ ფინანსური ხარჯი	**(797,600)**	**(655,547)**

18. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

ვალდებულებები - კომპანიას არ აქვს არსებითი პირობითი ვალდებულებები 2024 -2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოებები-ხელმძღვანელობა თვლის, რომ ადგილი არ ექნება არსებით დაურიცხავი ზარალის დარიცხვას და შესაბამისად წინამდებარე წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შექმნილა.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებს უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმანდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების რისკზე უმეტესად კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს)როდესაც კომპანიის შემოსავალი და ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსური ვალდებულებებს უკავშირდება, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორისცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან .

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული

თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციაური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის სამარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხების დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური განსჯის გამოყენების გამო, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამართლიანი ღირებულება დაუყოვნებლის რეალიზებადია აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვისას. კომპანიის ყველა აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-ს დონით ფასდება.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) თანახმად, მხარეები ზოგადად დაკავშირებულად მოიაზრებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს ან ერთერთ მხარეს შესწევს მეორეზე კონტროლის განხორციელების უნარი, ან შეუძლია ისარგებლოს მნიშვნელოვანი გავლენით, ან ერთობლივი კონტროლით სხვა მხარეზე, ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები არ დაფიქსირდა:

წამყვანი ხელმძღვანელობისთვის (Key Management) ხელფასის სახით გადახდილი თანხები	**31-დეკ- 2024**	**31-დეკ- 2023**
გადახდილი ხელფასები	576,427	576,427
ჯამი	**576,427**	**576,427**

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს. ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ამონაგები	13	16,781,453	13,843,927
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	14	(8,107,816)	(7,065,314)
საერთო მოგება		**8,673,637**	**6,778,613**
სხვა შემოსავალი		122,313	280
კომერციული დანახარჯები	15	(716,656)	(582,642)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,215,897)	(5,065,202)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**2,863,397**	**1,131,049**
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(88,341)	33,219
ფინანსური ხარჯი	17	(797,600)	(655,547)
მოგება დაბეგვრამდე		1,977,456	508,721
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		1,977,456	508,721
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		1,977,456	508,721

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ნათია შავდია

ფინანსური მენეჯერი: ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	8,952,670	9,004,505
არამატერიალური აქტივები		230,223	143,720
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		**9,182,893**	**9,148,225**
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,477,440	1,131,256
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	1,457,602	929,954
გაცემული სესხები		480,042	732,403
მარაგები	9	691,161	710,516
მიმდინარე აქტივების ჯამი		**4,106,245**	**3,504,129**
სულ აქტივები		**13,289,138**	**12,652,354**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	174,100	174,100
აკუმულირებული მოგება		5,931,086	4,677,837
სულ კაპიტალი		**6,105,186**	**4,851,937**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	11	3,220,518	3,469,314
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი		**3,220,518**	**3,469,314**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალებულებები	12	2,000,277	2,430,017
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	11	1,692,388	1,653,693
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		153,409	123,200
საგადასახადო ვალდებულებები		117,360	124,193
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		**3,963,434**	**4,331,103**
სულ ვალდებულებები		**7,183,952**	**7,800,417**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**13,289,138**	**12,652,354**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 29 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ნათია შავდია
ფინანსური მენეჯერი: ნიკოლოზ ედიბერიძე

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 21-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სამედიცინო ცენტრი „ციტო“

მმართველობის ანგარიშგება

1. **კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა**

სამედიცინო ლაბორატორიების დაარსებისა და განვითარების ისტორია, სამედიცინო ევოლუციადაც შეიძლება შეფასდეს. გზა ემპირიულ ცოდნასა და ექსპერიმენტულ ტექნიკებზე გადის და ამტკიცებს, რომ სწორედ ამ რგოლის ჩამოყალიბებით იქცა ჰიპოთეტური მეცნიერება დასაბუთებად და მეტად ზუსტ დარგად. ჰიპოკრატე (ქრ.შ-მდე 460-355 წ.) პაციენტთა შარდის მახასიათებლებს აღწერს, ხოლო გალენი (ქრ.შ-დან 129-200 წ.) ამატებს, რომ შარდი არის სისხლის მფილტრავი და შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც დაავადებათა ლოკაციის მაჩვენებლი. საბოლოოდ, სწორედ შარდის ანალიზი გახდა პირველი „მასალის ლაბორატორიული კვლევა“.

ლაბორატორიული მედიცინის კვლევის სფეროს წარმოადგენს ორგანიზმის ბიომასალის მორფოლოგიური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, გენეტიკური და სხვა პარამეტრების თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა. ექიმს დიაგნოზის დასასმელად და გასამყარებლად საჭირო ინფორმაციის 70%-მდე, სწორედ სამედიცინო ლაბორატორიიდან მიეწოდება.

ლაბორატორიის ექიმები ბიოლოგიური მასალის სინჯებს იკვლევენ დამხმარე აპარატურისა და ტექნოლოგიების დახმარებით. მასალის კვლევა შესაძლოა მიმდინარეობდეს სხვადასხვა თავსებურების განსაზღვრისთვის, მაგალითად: ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური, გენტიკური თუ ციტოლოგიური პარამეტრების მიხედვით. ეს დამოკიდებულია ექიმის მიმართვაზე და მკურნალობის დაგეგმვისთვის საჭირო ინფორმაციაზე.

ერთი მხრივ, საკმაოდ კომპლექსური საქმიანობა დიდ ყურადღებასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს, მეორე მხრივ, დამხმარე აპარატურის სათანადო სტანდარტსა და მუშაობის სიმძლავრეს. სწორედ ამ მახასიათებლების მიხედვით, საქართველოში გამორჩეულ ადგილს იკავებს სამედიცინო ცენტრი „ციტო“, რომელიც 1997 წელს დაარსდა ნათია შავდიას მიერ და პირველი საერთაშორისოდ აკრედიტებული ლაბორატორია გახდა საქართველოში.

სამედიცინო ცენტრი „ციტო“ 1997 წელს დაარსდა და საქართველოში დანერგა ლაბორატორიულ მედიცინაში არსებული საერთაშორისო სტანდარტები, რამაც ქართველ ექიმებს მისცა შესაძლებლობა, მაღალი ტექნოლოგიების საშუალებით დაესვათ უტყუარი დიაგნოზი და დაეგეგმათ შესაბამისი მკურნალობა. 25 წელია, სამედიცინო ცენტრი „ციტო“ ემსახურება პაციენტებსა და კლინიკებს; ჩაბმულია ჯანდაცვის პროგრამებსა და საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში. 2005 წლიდან სერტიფიცირებულია და აქვს ხარისხის მართვის ISO 9001 სერტიფიკატი, ხოლო 2015 წლიდან საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის (GAC) მიერ გაცემული აკრედიტაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი, 2016 წლიდან კი, სამედიცინო ცენტრი ციტო წარმოადგენს პირველ და ერთადერთ საერთაშორისოდ აკრედიტებულ კლინიკურ ლაბორატორიას, რომელსაც აშშ-ს აკრედიატციის ორგანოს, ANAB-ის მიერ მინიჭებული აქვს ISO 15189. „ციტო“ პაციენტებს სთავაზობს: ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ კვლევებს, რომელშიც ერთიანდება ჰემატოლოგია, კლინიკური ქიმია, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, მოლეკულური დიაგნოსტიკა, აპარატული კვლევების

ფართო სპექტრი უახლესი აპარატურით (ულტრასონოგრაფია, რენტგენოგრაფია, დენსიტომეტირია), სრულყოფილად აღჭურვილი კარდიოლოგიური კაბინეტი.

პაციენტებს სამედიცინო კონსულტაციას უწევენ ყველა დარგის გამოცდილი და კვალიფიციური ექიმები: კარდიოლოგი, უროლოგი, თერაპევტი, ნევროლოგი, გასტროენტეროლოგი, ანგიოლოგი, პულმონოლოგი, გინეკოლოგი, რევმატოლოგი, ორთოპედი, ნეფროლოგი, პროქტოლოგი, პედიატრი, ენდოკრინოლოგი, დერმატოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ინფექციონისტი.

"ციტო" - მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდი. ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევები ერთ სივრცეში.

„ციტო“- კლიენტებს მომსახურებას უწევს შემდეგ მისამართებზე:

„ციტოს“ მისამართები

სამედიცინო ცენტრი „ციტო“

თბილისი, ვაკე, ზ. ფალიაშვილის ქ. #40

„ციტოს“ ლაბ ექსპრესები

თბილისი:

• დიღომი, ლუბლიანას ქ. 15

• გლდანი, ო. ხიზანიშვილის ქ. 21

• დიდი დიღომი, მირიან მეფის #9.

რეგიონები:

გორი, სტალინის ქ. 48

სამტრედია, რესპუბლიკის ქ. 2

ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზ. 27

ზუგდიდი, ი. კიკალიშვილის ქ. 2

სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. 241

ბათუმი, ფარნავაზ მეფის #107

თელავი, ერეკლე მეორეს #2

2. კომპანიის სადამფუძნებლო ინფორმაცია

შპს „სამედიცინო ცენტრი ციტო” (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1996 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფალიაშვილის ქ, №40, თბილისი, საქართველო. კომპანია ახორციელებს კლინიკური ლაბორატორიის, ექიმი კონსულტანტის და კვლევით სამედიცინო მომსახურებას.

2024 -2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი და კომპანიის დირექტორი არის ნათია შავდია.

3. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

	<u>მაჩვენებელი</u>	<u>2023</u>	<u>2024</u>
	შემოსავალი	13 843 927	16 781 453
	მოგება/ზარალი	508 722	1 977 456
	თანამშრომელთა რაოდენობა	195	190

	<u>მაჩვენებელი</u>	***<u>2023</u>***	***<u>2024</u>***
	მოკლევადიანი აქტივები	2 771 726	4 106 245
	მოკლევადიანი ვალდებულებები	4 331 103	3 963 434
	გრძელვადიანი აქტივები	9 880 628	9 182 893
	გრძელვადიანი ვალდებულებები	3 469 314	3 220 518

- მაკროეკონომიკური პირობები

კომპანია ძირითადად საქართველოში საქმიანობს და შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები.

IMF-სა და საქსტატის ინფორმაციით მშპ-ს რეალურმა კლებამ 2020 წელს შეადგინა -6.2%. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მიუხედავად დაკრედიტების ზრდის ტემპი

შენარჩუნდა რაც გამოწვეული იყო სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა ფორმის სუბსიდირებით.

აღნიშნული მოლოდინები და რეგულაციები ზრდის კომპანიის დანახარჯებს რაც ნაწილობრივ გამოწვეულია კურსის მერყეობით და ნაწილობრივ მთავრობის რეკომენდაციების შესრულებით.

ვალუტის მერყეობა

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნესგარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო. კომპანიას სამუშაოების განსახორციელებლად ესაჭიროება ნედლეული და რეაქტივები, რომელთა ნაწილის შესყიდვაც ხორციელდება უცხოელი მომწოდებლებისაგან, ხოლო ნაწილის შესყიდვა ხდება ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ღირებულებაზე გავლენას ახდენს სავალუტო კურსი. შესაბამისად, არსებობს სავალუტო რისკი. ძირითადი მასალები, რომელიც კომპანიას ესაჭიროება ლაბორატორიული მომსახურების განსახორციელებლად არის ისეთი მასალები, რომლის იმპორტიც ხდება ან პირდაპირ მიბმულია ლარის კურსზე (მაგალითად აპარატურა, რეაქტივები, კონტროლისა და კალიბრაციის საშუალებები), შესაბამისად კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე. ასეთი სავალუტო რისკები ძალიან დიდ გავლენას ახდენს კომპანიის მომგებიანობაზე.

ამასთან, კომპანიას საერთაშორისო და ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ სასესხო დავალიანება აქვს, რომელიც თითქმის სრულად მიბმულია უცხოურ ვალუტებზე (ძირითადად, აშშ დოლარზე).

საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური განვითარების შეფერხებამ და ვალუტის გაუფასურებამ გამოიწვია გასულ პერიოდებში საქართველოდან ექსპორტისა და საქართველოში ფულადი გადარიცხვების შემცირება. საქართველოს მეზობელ ბაზრებზე ეკონომიკური დაღმავლობა ან კრიზისი თუ გაგრძელდება ან წარმოიშობა, ეს არსებით უარყოფით გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე და პერსპექტივებზე.

საქართველოს ესაზღვრება რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი და მის საზღვრებში მოქცეულია ორი სეპარატისტული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი. რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება უარყოფითად მოქმედებს მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებზე. 2006 წელს რუსეთმა საქართველოზე სანქციები დააწესა და 2008 წელს ქვეყნებს შორის კონფლიქტის ესკალაცია მოხდა, როდესაც რუსულმა ძალებმა გადაკვეთეს საერთაშორისო საზღვარი და საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. საფრანგეთის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც რუსული სამხედრო ძალები ქვეყნიდან უნდა გასულიყო, რუსეთმა აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა და ვითარება დაძაბული დარჩა.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ და 2017 წლის თებერვალში ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის ინიციატივის დამტკიცებამ შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს ამ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობა. რუსეთ-უკრაინის გეოპოლიტიკური ურთიერთობა 2022 წლის თებერვალში განახლებულმა საომარმა მოქმედებებმა გამოიწვია ჯერ არნახული სანქციები რუსეთის ფედერაციის მიმართ. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის (და სხვა ქვეყნების) სანქციები რუსეთის მიმართ გრძელდება და გაურკვეველია, როდის და როგორ გადაიჭრება კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის. პოლიტიკური გარემო თურქეთში დაძაბული რჩება 2016 წლის განმავლობაში თურქეთში მომხდარი სამოქალაქო არეულობის შემდეგ. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გამო თურქეთის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც რეფერენდუმის გზით დამტკიცდა. ცვლილებები პრეზიდენტს მეტ უფლებებს ანიჭებს და შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს თურქეთში პოლიტიკურ სტაბილურობაზე. რეგიონში შემდგომმა გეოპოლიტიკურმა უთანხმოებამაც განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოზე.

შეიძლება გარკვეული სირთულეები ახლდეს საქართველოს ნორმატიული ბაზის მისადაგებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის („DCFTA“) შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და შეიქმნა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირთან ვაჭრობის ორმხრივ ლიბერალიზაციას. როგორც მოსალოდნელია, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შექმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება გარკვეული გამოწვევების წინაშე დააყენოს იურიდიული თუ ფიზიკური პირები და სახელმწიფო. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ და DCFTA-მ შეიძლება საჭირო გახადოს საქართველოს მხრიდან ევროკავშირის ვაჭრობასთან დაკავშირებული და სექტორისთვის განკუთვნილი კანონმდებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც გარკვეულ სირთულეებს შექმნის, განსაკუთრებით, გარემოს დაცვის (პროდუქტის და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) და მომხმარებელთა უსაფრთხოების საკითხში.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მას თავისი სავაჭრო კანონმდებლობა თანდათან შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელ ნორმატიულ ცვლილებებს შორისაა 2013 წლის ცვლილებები შრომის კოდექსში, რითაც საქართველოს შრომითი რეგულაციები მიუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ით აღებულ ვალდებულებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებლებს ევალებათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გაზრდა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), იზრდება დასაქმებულების უფლებები

დამსაქმებლების გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, იკრძალება საფუძვლიანი მიზეზის გარეშე სამსახურიდან დათხოვნა და გარანტირებულია საბაზისო სამუშაო პირობები. ცვლილებებმა ასევე გაამკაცრა კონკურენციის კანონი საქართველოში, რომელსაც შეუძლია შეზღუდოს ჯგუფის უფლება, მოახდინოს დამატებითი შეზღუდვები თავისი ზრდის სტრატეგიის შესაბამისად. აგრეთვე აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად გამკაცრდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები და 2019 წლის 1 სექტემბრიდან ყველა საწარმოს მიუხედავად საქმიანობის სფეროსი, ევალება უსაფრთხოების თანამშრომლის ყოლა, რაც დამატებით ხარჯებსა და სირთულეებს იწვევს ბიზნესისთვის.

სახელმწიფო პოლიტიკაში სხვა ცვლილებებიცაა მოსალოდნელი, მათ შორის ცვლილებები ადრე გამოცხადებული სახელმწიფო ინიციატივების განხორციელებასა თუ მიდგომებში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვან ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებს მოსწყვიტოს და შეაფერხოს მათი ეფექტიანობა.

ამასთან, ეს საგადასახადო კანონები ექვემდებარება შესწორებებსა და ცვლილებებს, რამაც შეიძლება დამატებითი სირთულეები შეუქმნას ბიზნესკომპანიებს. 2011 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი („საგადასახადო კოდექსი“). 2011 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომლითაც აიკრძალა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება ან არსებული განაკვეთების ზედა ზღვრის გაზრდა (გარდა აქციზისა) საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული რეფერენდუმის გზით (გარკვეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საწარმოს არ დაევალება მოგების გადასახადის გადახდა, სანამ იგი არ გაანაწილებს მოგებას მფლობელებზე ან გასწევს ასეთ დანახარჯებს ან განახორციელებს ისეთ მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. როგორც მოსალოდნელია, ეს ცვლილება გააქტიურებს ეკონომიკურ საქმიანობას და გაზრდის კერძო სექტორის კაპიტალიზაციას. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ არ ეხება გარკვეულ ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებს (ცვლილებები ფინანსურ ინსტიტუტებს, მათ შორის ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს 2024 წლის 1 იანვრიდან შეეხება). თუმცა არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ეს ცვლილებები სასურველ შედეგს გამოიღებს.

კომპანია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ხელმძღვანელი პირებისა და კვალიფიციური თანამშრომლების აყვანას და შენარჩუნებას.

წამყვანი ხელმძღვანელობის ამჟამინდელ გუნდში შედიან პირები, რომელთა, კომპანიის აზრით, მნიშვნელოვანი გამოცდილება და კომპეტენცია აქვთ. იმას, თუ რამდენად შესძლებს

კომპანია შეინარჩუნოს, წაახალისოს და მოიზიდოს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისთვის. არ არსებობს იმის გარანტია, რომ კომპანია შესძლებს საჭირო კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას. ხელმძღვანელობის წამყვანი გუნდის შემცირება ან მისი წევრების დაკარგვა, საჭირო სპეციალისტების მოზიდვის, გადამზადების ან შენარჩუნების თვალსაზრისით მარცხი, უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, საოპერაციო შედეგებსა და პერსპექტივებზე.

- უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენი სტრატეგიაა, სისტემურად გადავჭრათ უსაფრთხოების საკითხი არა მხოლოდ წარმოების ობიექტებზე, არამედ მთელი კომპანიის მასშტაბით.

- საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენი სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა
- კადრების ადმინისტრირება
- ხელფასები და კომპენსაციები
- ქცევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები
- საჩივრები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ბიზნების მდგრად განვითარებას.

დირექტორი: ნათია შავდია _____

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნესსაქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო ან/და ეთნიკური ნიშნით. ჩვენი ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის ბიზნეზის მდგრად განვითარებას.

დირექტორი: ნათია შავდია _____